

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14  
2022 წლის 3 ივნისი

## ქ. ლაგოდეხი

**„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამართალდარღვევის ოქმის ბლანკის გასავლის/მიღების ჟურნალების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ნორმატიული აქტების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### **მუხლი 1**

შეტანილი იქნას ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამართალდარღვევის ოქმის ბლანკის გასავლის/მიღების ჟურნალების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს N65 დადგენილებაში. ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 10.08.2018 (010250050.35.167.016415)).

### **მუხლი 2**

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამართალდარღვევის ოქმის ბლანკის გასავლის/მიღების ჟურნალების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 აგვისტოს N65 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მესამე პუნქტის , საქართველოს კანონის „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ მე-7, მე-8 მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: “

### **მუხლი 3**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

